№ 32 თებერვალი 12, ხუთშაბათი 1887 თებერვალი 12, ხუთშაბათი № 32

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . .	10	—	6 . .	6	—
11 . .	9	50	5 . .	5	50
10 . .	8	75	4 . .	4	75
9 . .	8	—	3 . .	3	50
8 . .	7	25	2 . .	2	75
7 . .	6	50	1 . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

Продукт

ტფილისი, 11 თებერვალი

ამ უკანასკნელ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, რომ ნავთსა და ნავთის ნავეთარზედ ბაჟის დადების საქმე გადუდვიათ ორისა თუ სამის წლით. თუმცა ეს ამბავი გაზეთების მიერ მოიფინა, მაგრამ ირწმუნებიან, რომ მართალი არისო და ნამდვილად შეტყობილიო. ჩვენ ამის გარჩევას არ შევუდგებით, თუმცა საკვირველი კია საკვირველია იმიტომ-რომ კაცმა არ იცის რა უნდა ჰქმნას ნავთის მრეწველობამ ამ ბაჟის დადების ლოდინში? როგორ გაიანგარიშოს თავისი დღევანდელი მოქმედება? რას შეუწყოს და რას დაუყენოს ქვეშ? ამის მოლოდინში ყოველთვის ფრთხილი ფული ხომ ადამიანის ჯიბიდამაც ვერ ამოჰყოფს თავსა და ვერ ჩაერევა იმ მრეწველობაში, რომელმაც არ იცის ორისა თუ სამი წლის შემდეგ რის გადამხდელი შეიქმნება და რა ტვირთის მზიდველი? ამ ორისა თუ სამის წლის მაყურებელი ფულის პატრონი მარტო ორის წლით თუ გაჰბედავს ფულს დაბანდოს ნავთის საქმეში და ის ხანგრძლივი დაბანდება ფულისა კი, რომელიც ასე საჭიროა მკვიდრად საქმის დაჭერისათვის და თვითონ მრეწველობის წარმატებისათვის, ამ ორ წელიწადში მარტო უქმ ნატვრად უნდა დარჩეს, ვიდრე ბაჟის საქმე ასე თუ ისე გადაწყდება. ჩვენ ეს უცნაური გარემოება ისე გაკვრით მოვიხსენიეთ.

ჩვენ ზემოდ ხსენებულმა დეპეშამ მოგვაგონა ნავთის ბაჟის საქმე და ამ საქმემ ისეთი უცნაური ამბავიცა, რომელიც პირველ შეხედვით დაუჯერებელია და წინა თქმულს უცნაურზედ უფრო უცნაურია! როგორა გგონიათ? სართი დასწრებისა ვის უნდა ერგოს ნავთზედ ბაჟის დადების საქმის ატეხაზედ? სანაძლეო, წაუგებელი სანაძლეო შეიძლება კაცმა დასდოს, თუ ვინმე შორიდამ მაინც მიხვდება, გუმანს მაინც მიიტანს იმაზედ, ვინც ეს ბაჟი მოიწადინა. წარმოიდგინეთ, გამოდის რომ ნავთზედ ბაჟის დადება მოიწადინა თვით ნავთის მრეწველმავე!.... განა ისიც ერთმა და ორმა, — მთელმა კრებულმა. ამ კრებულმა სთხოვა მთავრობას დიდის თხოვნითა, რომ წყალობა გვიყავით და ჩვენს შავ-ნავთს, ესე იგი ჯერ გადაუწმენდელს და გამოუხდელს, ბაჟი დაადეთ, თორემ ამ დიდის სიმდიდრის მომასწავებელს მრეწველობას ნავთისას ჰქლამის სული შეეხუთოს და თავის საკუთარს სიმდიდრეშივე ჩაიხრჩოსო. როცა შავ-ნავთს ბაჟი დაედება და დაძვირდება, მაშინ ქარხანის პატრონი ეცდება ერთსა და იმავე ზომის ნავთისაგან რაც შეიძლება მეტი საბაზრო საგანი აკეთოს, — და ეხლა, როცა ათისაგან მარტო სამის გამორჩენა აქვთო და შვიდს-კი ცუდ-უბრალოდ ჰყრიანო, აუარებელი სიმდიდრე მტვრად მიდის და იკარგებაო. გარდა ამისა ხაზინასაც შემოსავალი მოემატება, რადგანაც ნავთის ბაჟი კარგა ბლომა ფულს შეადგენსო. ეს უთხოვნიათ თვით ნავთის მრეწველთა და ამ საბუთებით მოურთავთ თავისი საოცარი თხოვნა, რომელიც ჯერ ხანად მთავრობას — ღვთის მადლით — არ შეუწყნარებია, დეპეშის სიტყვითა.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს ნომერში ამ უცნაურს თხოვნას შიგნეული გამოვუწყლათ და მაშინ აშკარად დავინახავთ ამ ჯერ არ შეწყნარებულთ მთხოვნელთ რის მუცლის ტკივილიცა აქვთ.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ დღეებში წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელშიაც აპირობენ პუშკინის სახელის პატივისცემას. ქართული მოსწავლე ქალები წაიკითხვენ სხვათა-შორის ქართულად ერთს ხანას პუშკინის თხზულებიდამ «ბაღჩისარაის შადრევანი».

⁂ გუშინ-წინ უკანასკნელად გადაათვალიერეს პროექტი იმ საზოგადოების წესდებისა, რომელიც არსდება ტფილისში, როგორც სოფლის მწარმოებელთა დასახმარებლადა და სოფლის ნაწარმოებთა ბაზრის მოპოვებისათვის, ისე მომხმარებელთა შესაწევნელად.

⁂ წყლის გამყვანს მილებს ამ ჟამად აწყობენ სხვათა-შორის მთაწმინდაშიაც. ეს ორი - სამი დღე იქნება, რაც დაიწყეს თხრილების თხრა მამა-დავითის აღმართზე. თხრილი უკვე მზად არის სენჩიკოვსკის აფთიაქიდამ მამა-დავითის მეიდნამდე.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 40,000 მანეთი გადაუდვია იმისთვის, რომ ცნობაში იქმნას მოყვანილი, სად რა ქონება აქვს ამ სამინისტროს კავკასიაშიო.

⁂ გორიდამ გვწერენ: ეს ორი დღეა (8 და 9 თებერვალს), რაც გორში და მის ახლო-მახლო ჟუჟუნა წვიმა მოდის; თოვლი ერთიან გაჰქუპდა; ქუჩებში ისეთი ტალახია, რომ ნავით თუ გადავა ადამიანი ერთის ქუჩიდამ მეორეზე. ფარნებს უხეიროდ ანათებენ; შუშები გაუწმენდავია ხშირადა, ვერ ანათებს და ამიტომ ამ ტალახებში ღამე სიარული სწორედ განსაცდელია.

⁂ ვლადიკავკაზიდამ გვწერენ: ერთი მატყუარა და ხალხის ტყავის გამძრობელი მკითხავი დედა-კაცი გამოჩნდა სოფ. ხუმელაგაში და ლამის არის ოსებს სულ გაუწყოს ხაჭა-პურები და არაყი. აი როგორ ატყუებს და ზარალს აძლევს ხალხს: როცა მიელენ საკითხავად, უნდა მიიტანონ სამი ხაჭა-პური, ერთი ბოთლი არაყი და ორი ან ერთი აბაზი ფული. უკითხავს და ბოლოს ზოგს ეტყვის, შენ მამალი თხა დაჰკალი, წაიღე ხელუხლებლად და სადაც ჯვარედინი გზა იყრება ერთად, იქ დაავდე ისე, რომ არავინ დაგინახოსო, ზოგს ეტყვის შენ ყვითელი ციკანი დაჰკალი და რაც შეჭამოთ, ვახშმათ შეჭამეთ, ხოლო ძვალი არ გატეხოთო. რაც დაგრჩეთ, ციკნისვე ტყავში გაახვიეთ, წაიღეთ და მინდორში მიწაში ჩაფალითო. ზოგს ეტყვის, მამალი ქათამი დაჰკალი წაიღე და წისქვილის ღარში ჩააგდე ისე, რომ არავინ დაგინახოსო. ვინ იცის რეებს არ ეუბნება უგუნურს ხალხს — და ამ ნაირად ამ მაცდურმა მკითხავმა დედა-კაცმა ლამის საწყალ ოსებს სულ გაუწყვიტოს თხები, ციკნები, მამლები, ხაჭა-პურები და არაყი...

⁂ იქიდამვე გვწერენ: სოფ. ხუმელაგაში ამ დღეებში ერთი ოთხის წლის ბიჭი დაჰგლიჯა ცოფიანმა ძაღლმა შიგ თვალში. ძაღლს სხვა ვნება აღარავისთვის მიუცია, მაშინვე მოჰკლეს და ბიჭი-კი ქ. ვლადიკავკაზში წაიყვანეს მოსარჩენად ერთ ვილაც ქართველთან. მე ვკითხე ოსებს, რა იცის იმ ქართველმა ცოფიანის მორჩენა-მეთქი და დამარწმუნეს, რომ ის ქართველი ძალიან კარგად არჩენს ცოფიანსაო...

⁂ 4 თებერვლის გაზ. „Новости“-ში, რომელიც ჩვენ გუშინ მივიღეთ, სწერია შემდეგი: 8 თებერვალს თეატრს „Фантазія“-ში გამართული იქნება კავკასიის მოსწავლეთა სასარგებლოდ კავკასიური საღამო. ეს საღამო ფრიად საინტერესო უნდა იყოს. სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი არტისტი-ქალნი და კაცნიო. ამას გარდა მხატვარი კარაზინი დასდგამს შემდეგს ცხოველს სურათებსა: 1) როგორ აცილებენ კავკასიის მთიულნი იმ ცხენის რაზმს, რომელიც წასვლას აპირობს რომელსამე სოფელზე თავ-დასასხმელად; 2) როგორ შეეჯახებიან ხოლმე მოჯირითენი ერთმანერთს; და 3) ნადიმი კავკასიელის მთიულებისაო. უკანასკნელს ცხოველს სურათს მოჰყვება ლეკური, ჩაჩნური (ხანჯლებით თამაშობა) და კინტოური. ამავე დროს ხორო იტყვის კავკასიურს სიმღერებსა სცენის უკანაო. საღამოც გათავდება და შემდეგ დაიწყობა ტანცაობაო.

ფელეტონი

ძმური სიტყვა

(შემდეგი *)

XI

> ყოველს დროსა სიტყვა უნდა,
> ლაპარაკს მისი ადგილი.

დიდება შენთვის, უფალო, განა ჩვენზე ზარმაცი და დაუდევნელი ხალხი კიდევ იქნება ქვეყანაზე?.. მაშ რა დარდუბალაა, თუ დაუდევნელობა არალი: კარ-წინ, თვალ-წინ, ჩვენ მიწა-წყალში უცხო ქვეყნელებს კართოფილი და კომბოსტო მოჰყავთ და ჩვენზევე კი ასაღებენ მამა-სისხლად. მერე კართოფილი იგეთი დალოცვილი სარჩოა, რომ იმას კალია ვერ მოგვიჭამს, იქნება ჰზბანოთ: ძალიან კარგი, მაგრამ, ხელი რომ არ ვიცით, როგორ დავთესოთო? მე კიდევ ამას მოგახსენებთ: ღვდელი გყავთ და «უჩიტელი», რატომ არ მივა ვინც არ იცის და არა ჰკითხავს იმათ, ან სხვას, ვინც იცის კართოფილის მოყვანის ხელი, მაგრამ რომ არას დაჰდევთ, თქვე დალოცვილებო. კართოფილისა და კომბოსტოს დათესვა-მოვლას დიდი ცოდნა როდი უნდა, ერთის თვალის-მოკვრის მეტი კი არა ეჭირება-რა, რომ იცოდეს კაცმა. არ მინდა, რომ სიტყვა გავძელდეს და ლაპარაკით თავი შევაბეზროთ, თორემ ამასაც მალე გამოგითეთრებდით.

რას ვაკეთებთ კვირა-უქმე დღეს და მუდამ არ შევიყრებით ათას-ნაირი საოჯახო საქმეების მოსალაპარაკებლად? მაგრამ აი ჩვენი სოფლობის საქმე რა არი: ზოგნი ერთმანეთის თვალში თითის დასაპირებლად ყაყანებენ, ზოგნი ჯავრობენ, იგინებიან და ერთმანეთზე საცემლად იწევენ, ზოგნი გაჩუმებულან და აყროლებულის ყალიონის ბოლით გულ-მუცელს იშხამავენ, ზოგნი სამიკიტნოში შემძვრალან და ძალზე ისხმენ ჯანის გამტეხავ არაყს და თანაც თითონვე ახალისებენ, ისეც გაცვეთილ მიკიტანს, სიხარულის სიმღერით: «მიკიტანო, მიკიტანო, ჩამოასხი ტიკიდანო», ზოგნი ქვეყანას ასამართლებენ ჰორიკანობით, და ცუდ-უბრალოზე იღრიჭებიან. კიდევ სირცხვილი ჩვენთვის, თუ ესაც არ გვეცოდინება, რომ ცუდის, ყოფა-ქცევით ოჯახი არ აგვიშენდება.

რატომ ერთხელ არ დავფიქრდებით, რო ცუდ-უბრალო ყაყანიდამ არა გამოდნება-რა ხეირიანი? „ღმერთმა ორი ყური და ერთი პირი იმისათვის მოგვცა, რომ ბევრი გავიგონოთ და ცოტა ვილაპარაკოთ“ [1]). მაგრამ გონებაშიაც სიფთხილე უნდა: ჩვენ იგეთ კაცებს უნდა გავუგონოთ, ვისაც ჩვენთვის მამა-შვილურად გული შესტკივა, რომ იმათმა კეთილმა სიტყვამ მოგვფინოს მადლი ღვთისა და გაგვიადვილოს ცხოვრება.

უთავ-ბოლო ყაყანს-კი ნუ ავტეხამთ ხოლმე სოფლობაში, რო ვინ რას ამბობს აღარ გვეყურება, ყველამ ერთმანეთს ძმურად, ქრისტიანულად უნდა მოუსმინოთ სიტყვა, მერე ავილოთ, დავილოთ და ვინც მართალი იყოს და ვისი ჰკვაც ვამჯობინოთ — იმას დავუჯეროთ და გავუგონოთ. ღმერთმა ქნას, რომ ეხლა მაინც მოვიდეთ ჰკვაზე.

იგეთ რამეზე ვილაპარაკებდეთ, თუ ლაპარაკი გვინდა, რომ სახეიროც იყოს. ერთმანეთის სამტროდა და ცუდ-უბრალოზე კი ნუ ავტეხავთ ხოლმე დავიდარაბასა და წივილ-კივილს, აი რაზე ჩამოვაგდებდეთ სიტყვას: ღვთისნიერის კაცების მამა-შვილური დარიგება შევისმინოთ; შვილებს სკოლები ავუშენოთ და ქალიცა და ვაჟიცა სასწავლში გამოვზარდოთ; ჩვენ მიწა-წყალში სუყველა დავთესოთ: პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, კართოფილი, კომბოსტო, ბამბა, ენდრო, ლობიო, მუხუდო, ცერცვი, გოგრა, ბოლოკი, ჭარხალი, სტაფილო, ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, მწვანილი, კიტრი, ნესვ-ყარფუზი და სხვა.

ცარიელებში არხები გავჭრათ და ვენახები გავაშენოთ. მამულებში კაი ხეხილები ჩავყაროთ. ცხვარი, ძროხა, ცხენა და ღორი გავამრავლოთ. აბრეშუმის-ჭია და ფუტკარი ყველამ გავიჩინოთ. კარგის ჯიშის ინდაური, ბატი, ქათამი, და იხვი მოვაშენოთ. რიგიანის ღვინის დაყენება და კაი ყველისა და ერბოს გაკეთება ვისწავლოთ. კარგი სამუშაო იარაღები და ხერხიანი ურმები ვიქონიოთ, რომ კაცსაც და საქონელსაც შეღავათი მიეცეს და საქმეც უფრო რიგიანი და ბარაქიანი გაკეთდეს. გზები გავიკეთოთ. წყლები გამოვიყვანოთ. ტყეს გავუფთხილდეთ, რომ ჩვენ შვილიშვილსაც ერგოს რამე. იგეთი ოსტატური სახლები ჩავიდგათ, რომ შიგაც ცოტა დაიხარჯოს და ჯანიც მთლიანად შეგვინახოს. დედა-კაცები და ქალები დავარიგოთ, ახალთ-ახალის კაბების ფრიალი რომ უყვართ, გარჯაც უყვარდეთ. შვილები თავის დროზე დავაქორწილოთ, რო სავაგლახოს არას წააწყდნენ და უფრო მადლიანად გაისარჯნენ. ქალებს ძალდატანებით ნუ გავათხოვებთ და ნუ ვეტყვით: გინდა თუ არა, მავანი კაცი უნდა შეირთოო, ამას ღმერთი არ მოგვიწონებს; დეე, ვინც იმათ გულით უნდათ, იმათ მითხოვდნენ.

მოხელეები თუ უწეს-რიგოდ იქცევიან, დავცვალოთ. რადგანაც მოხელეების ამორჩევა თვალ-და-თვალა ჰხდება და ათასის მიზეზის გამო ჩვენის გულის ნამდომს, რიგიან კაცს ვერ ამოვირჩევთ ხოლმე, ამისათვი

---

*) იხ. „ივერია“ № 29.

[1]) დიოგენი

26 96

** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ ამ წლის პირველს იანვარს ტფილისში სულ 4,000 კაცი და ქალი ითვლებოდა ისეთი, რომელნიც პენსიითა სცხოვრობდნენო, ესე იგი პენსიის მეტი თითქოს არავითარი სხვა საცხოვრებელი სახსარი არა ჰქონიათ-რაო.

** ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ ტფილისის ყოველ საპოლიციო ნაწილში ყაზარმები იქნება დამართული პოლიციელებისათვისაო. პოლიციელები ვალდებულნი იქმნებიან ამ ყაზარმებში იცხოვრონ ერთადაო. აქამდე პოლიციელნი ცალკ-ცალკე სცხოვრობდნენ, ვისაც სად უნდოდა და ამიტომ, საჭირო რომ ყოფილიყო იმათი ერთად შეკრება სადმე, ძალიან გაძნელდებოდა ხოლმეო.

** გაზ. „Новое Вр.“ ამბობს, რომ ტფილისის გუბერნატორი გროსმანი ქუთაისის გუბერნატორად ინიშნებაო, სტავროპოლის გუბერნატორი დ. ს. სოვეტ. ზისერმანი ტფილისის გუბერნატორადაო, ხოლო უფროს შავის-ზღვის ოლქასი პოლკ. ნიკიფოროვი — სტავროპოლის გუბერნატორადაო.

** 10 თებერვალს მე-6 ნაწილის პოლიციელმა ნიკოლოოზ გალავინოვმა თავის მოკვლა მოინდომა და მუცელში დაიცა რევოლვერი. მძიმედ დაჭრილი პოლიციელი საავად-მყოფოში წაიყვანეს.

** 10 თებერვალს რკინის გზის სახელოსნოებში ხელოსანი სალდათის შვილი გიორგი რეგნუ აქრობდა ანთებულს ნავთს და თავის გაუფრთხილებლობის გამო ძალიან დაეწვა ტანი. დაშავებული რკინის გზის საავად-მყოფოში იქმნა გაგზავნილი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

(9 თებერვლის სხდომა)

ამ კრებას დაესწრო 39 ხმოსანი. ჩვეულებისამებრ წინანდელის კრების ოქმი მოისმინა საბჭომ და დაამტკიცა.

პირველი საგანი, რომელიც უნდა განეხილა ამ კრებასა, ქალაქის სამმართველოში მოსამსახურეთა ჯამაგირების დამტკიცება იყო. ქალაქის თავემა მოახსენა საბჭოს, რომ გამგეობას განზრახვა აქვს დამფასებელ კამისიის წევრთა ჯამაგირები შეამციროსო. ამ საგნისათვის გადადებულია 2,100 მანათი. გამგეობა ჰფიქრობს, რომ ამის მაგიერ დაინიშნოს სამი წევრი ამ კამისიაში და თითოს 500 მან. მიეცეს გზის ხარჯადაო. ამას გარდა კასირს უნდა დაენიშნოს 200 მან., რადგან კასირის თანამდებობა ისეთია, რომ ხშირად ანგარიშის დროს შეიძლება კაცმა ფული გადააყოლოსო.

ბ-ნი კაიდანოვი. ამ სახით არ ვარგა ამ ფულის გადადება. ჩემის აზრით, პირ-და-პირ მივუმატოთ ჯამაგირს.

ბ-ნი თამამშოვი. კასსირს ძალიან ცოტა ჯამაგირი ეძლევა, 1,500 მან. ჩემის აზრით, იმას უნდა 1,800 მან. ჯამაგირი დავუნიშნოთ, მით უფრო, რომ შეიძლება გადააყოლოს ხოლმე კიდეც ფულიო.

ბ-ნი ბებუთოვი. დამფასებელ კამისიის წევრთათვის საჭირო არ არის 1,500 მან. დაინიშნოს. უკეთესია გამგეობას მიეცეს ერთხელვე გადაჭრილი ფული, მაგალითად, 1,000 მან. და იმან დაურიგოს ხოლმე საჭიროებისამებრ ამ კამისიის წევრთა.

ბ-ნი იოანესიანი აცხადებს, რომ რიგი და წესია საჭირო საგნების განხილვის დროსაო. ჯერ კასირზედ დაიწყეს ლაპარაკი, ეხლა კამისიაზედ ლაპარაკობენ, რიგია საჭირო, რიგი...

ბ-ნი კაიდანოვი. ხარჯთ-აღრიცხვის სიაში მოხსენებულია, რომ ქალაქის ვექილის თანაშემწე საჭიროაო. მართლა საჭიროა, თუ არა?

ქალაქის თავი. წარსულმა წელმა დაგვარწმუნა, რომ მეტის მეტად ბევრი საქმეები გვაქვს სასამართლოებში: თითქმის მუდამ-დღე სასამართლოებში უნდა ვიაროთ. ამისათვის ერთი კაცი ვერ უვლის ამდენს საქმეებს, თანაშემწეა საჭირო.

ბ-ნი თამამშოვი. ეს საგანი გადაეცეს საფინანსო კამისიას.

ბ-ნი ბებუთოვი. აქამდის უნდა გაგვერჩია, რა ხარჯია საჭირო და რა არა. ეხლა გვიანღაა, და ამიტომაც უნდა დავამტკიცოთ გამგეობის მოხსენება, თორემ ვინ იცის, როდის რა იქნება: როდის უნდა განიხილოს კამისიამ, როდის უნდა ჩვენ გავარჩიოთ და დავამტკიცოთ.

ზოგიერთი ხმოსნები თხოულობდნენ, დღესვე განვიხილოთ ეს საგანიო. ქალაქის თავემა ისურვა გადაწყვეტილიყო ეს საგანი. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, საფინანსო კამისიას გადაეცეს განსახილველად იმ პირობით, რომ 1-ლ მარტისათვის წარმოადგინოს ამ კამისიამ თავის აზრიო.

ამის შემდეგ გამსესხებელ კასსების რევიზორები და საფინანსო კამისიის წევრები აირჩია კრებამ. რევიზორებად აირჩიეს: ბ-ნნი: **ავრიანცი, ხურგუნოვი, იუზბაშოვი** და კანდიდატად **კეშიშოვი**; საფინანსო კამისიაში: ბ-ნი **კაიდანოვი, მ. ი—მე თამამშოვი, ბებუთოვი, ალიხანოვი, იგნენკო, ფრიდონოვი, ევანგულოვი** და **გარხოვი**.

ამის შემდეგ კრება შეუდგა იმის გარჩევას, თუ როგორ დავაარსოთ ქალების საავად-მყოფოვო. მკითხველებმა იციან, რომ ქალაქმა გადასწყვიტა 1881 წელს დააარსოს ტფილისში საავად-მყოფო ავის სენით შეპყრობილ ქალთათვის. იმპერატორის ალექსანდრე მეორის გარდაცვალების გამო, ქალაქმა მის ხსენების პატივისცემისათვის ეს საქმე განიზრახა. მაშინვე გაიმართა ხელის მოწერა და დღეს სულ 12,045 მანათია შემდგარი შემწირველთაგან. ამ საგნის გამო დიდი ბაასი ატყდა. ექიმებმაც მონაწილეობა მიიღეს. ილაპარაკეს ანანოვმა, შაჰპარონიანცმა, ქიურჩარიანცმა და გლავაცკიმ. ყველა იმ აზრისა იყო, რომ საავად-მყოფოს დიდი მნიშვნელობა ექმნებაო, მხოლოდ ფულია ბლომად საჭირო და ადგილიც კარგი ვერ აურჩევია ქალაქსაო. ავლაბარში გამართვა საავად-მყოფოსი არ მოხერხდება, რადგან იქ შესაფერი ჰავა არ არის და შორსაც იქნებაო. ქიურჩარიანცმა სთქვა, მე დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ქალაქში მეტის-მეტად გავრცელებულია ავი სენიო. **არ არის ისეთი სახლი, საცა, თუ პატრონები არა, მოსამსახურენი მაინც ავად არ იყვნენ ავის სენითაო.** ქიურჩარიანს, რასაკვირველია, მეტის-მეტი მოუვიდა. დიდის ხნის ბაასის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა ეს საგანი ჯერ-ჯერობით „სტროიტელნი“ კამისიას გადაეცეს განსახილველად და ამ კამისიაში მიწვეულ იქმნან ექიმებიცა. კამისიამაც და ექიმებმაც ერთად უნდა გამოიკვლიონ, ვარგა ის ადგილი, რომელიც გამგეობას ამოურჩევია საავად-მყოფოსათვის, თუ არა, ან რამდენი მოუნდება შესაკეთებლად იმ სახლს, რომელიც გამგეობას უნდა იყიდოს საავად-მყოფოსათვის. აზრი კამისიისა და ექიმებისა მოხსენდეს საფინანსო კამისიასა და მერე წარუდგინოს საბჭოსაო. საავად-მყოფოს გამართვას ქალაქი ჰფიქრობს 1 ივლისს.

კრება გათავდა ღამის 11 საათზედ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გორი, 9 თებერვალს. ყველიერები დაიწყო; ხალხმა გამოიღვიძა, დარდი და ნაღველი ადიდებულს წყალს მისცა და ლხინსა და ქეიფს მიჰყო ხელი ჩვეულებისამებრ. მაგრამ დღითი-დღე ჩვენს ხალხს ძველი ჩვეულებანი, ძველი გართობა-თამაშობანი, რომელიც ბლომად ჰქონდა ყველა დროს შესაფერი, ავიწყდება, ანუ აღარ მისდევს, მოჰბეზრდა თითქო. მდაბიო ხალხში კიდევ დარჩა ზოგიერთა ჩვეულებანი, სხვა-და-სხვა გართობა-თამაშობანი. ესრედ-წოდებულს, მაღალ ხალხში-კი ყოველ-გვარი ზნე-ჩვეულებანი, ყოველ-გვარი გართობა-თამაშობანი აღმოიფხვრა. მაშინ, როდესაც ევროპაში ყველა ევროპიელი განურჩევლად, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, „ჩინიანი“ თუ „უჩინო“, ერთ გვარად ასრულებენ და პატივს სცემენ ძველს ჩვეულებებს, მაგალითად, შობა დღესა, ახალ-წელიწადს და სხ. და სხვასა,—ჩვენში, ქართველებში, განიდევნა, აღმოიფხვრა; ჩვენს მაღალს საზოგადოებას თითქო ეთაკილება, თითქო არა კადრულობს, რომ ყოველს დღესასწაულს ერისას შესაფერად მიეგებოს.

ქალაქ ადგილებში სხვათა გართობა-თამაშობასთან, ჩვეულებად ჰქონდათ კრივი მუშტისა. ყველიერში ხან-დის-ხან ჩვენ გორში კრივს გააჩენენ ხოლმე, მაგრამ ბევრი უბედურება და მწარე ამბები მოხდება ხოლმე ამ მუშტით ომის დროს. შარშან დახურულს ბაზარში გაჩნდა კრივი; ხალხი ბანზე მოექცა; დაძველებულმა ფიცარმა ვეღარ იდგნო ხალხი, ჩაინგრა და რამდენიმე კაცი დააშავა. მოხდება ხოლმე უბედურება უფრო იმიტომ, რომ მეტიჩარა ხალხი არ ილევა და ჩხუბებს აჩენენ; იარაღით მოდიან და დალეულს ხალხთან ჩხუბს და აყალმაყალს ასტეხავენ ხოლმე. ვის უნახავს ადრე ან ცუდა-მადა ჩხუბები კრივის დროს, ან კაცის დაჰრა-დაჩეხა, ან კაცის კვლა; ორი მხარე მწარედ იბრძოდა, ერთმანერთს ეკვეთებოდა; მაცქერალნი მებრძოლთა სივაჟკაცით აღტაცებულნი დაჰკიჟინებდნენ და ამხნევებდნენ. დღეს კი ამ ჩვეულებამაც ფერი იცვალა. კვირას, ამ თთვის რვასა, შუა ქალაქში, მომრიგებელ-სასამართლოს წინ, ქუჩაზე, ხალხი შეიკრიბა საკრივოდ. ადგილობრივი პოლიცია ჩაერია „დესეტნიკებითა“ და ხალხს ჰრეკავდა, და აი ამ დროს რა საზარელი ამბავი მოხდა, რა საშინელი და შემაძრწუნებელის სანახაობის მჭვრეტელნი გავხდით.

ისევ დღე იყო, რომ კრივს ჰშლიდნენ. დესეტნიკი ხალხს ცემით ჰრეკავდა; სხვათა შორის დაჰკრა აზნაურს ბ ნ გარსევანაშვილსა; ამან არ დაუთმო; წაკინკლავდნენ. შებინდდა. გარსევანაშვილი შეჰხვდა ბოქაულს გვარამაძეს და შესჩივლა, რო თქვენმა დესეტნიკმა ასეთი და ასეთი საქმე დამმართაო. ამ ლაპარაკის დროს დესეტნიკი-ოსი, სახელად ალექსა (გვარი ვერ შევიტყე), რომელთანაც გარსევანაშვილს კინკლაობა მოუვიდა, მიეპარა, ამოეფარა ბოქაულს და ამოღებული ხანჯალი ჩასცა ყელში იმ ალაგს, სადაც დიდი ძარღვი გადის; ცოტას გასწყდა, რომ თვით ბოქაული არ მოჰკლა; საბრალო გარსევანაშვილმა მაშინვე ჩაიჩოქა, სისხლმა ამოაჩქაფუნა დი ბოქაული სულ ერთიან შეჰსვარა; მინამ დაჭრილს მიიყვანდნენ სიძის სახლში, რომელიც სულ ოცის საჟენის მანძილზე არ იყო, სული განუტევა, სულ ხუთი წამი აღარ უცოცხლია, ასე რომ გამომძიებელმა ცოცხალს ვეღარ მოუსწრო.

საკვირველი ის არის, რომ ეს მკვლელ ოსი-დესეტნიკი ამ ოთხი-ხუთის თთვის წინად გორის საპყრობილეში რაღაც დანაშაულობისათვის მჯდარა და დესეტნიკად აყენებენ. საკვირველია კიდევ ისა, რომ იმ საღამოსვე თან იახლეს მკვლელი და მოიყვანეს გორის «კრუჟოკის» სტუმართა მისაღებ ოთახში (въ швейцарной), სადაც ის, ხელ-სისხლიანი, პალტოებს ართმევდნენ ხალხსა. „კრუჟკის“ დარ-

---

ეთხოვოთ „ნაჩალიკს“, მოხელეების ამორჩევა კენჭით იყოს, დაფარულად. ფოშტი ფულის გასაწერად რიგიან კაცებს ამოვირჩევდეთ და ბოლოს მცოდნე კაცის ხელით იმათაც უანგარიშებდეთ, რომ იანლიშად არაში მოვიდნენ და მეტ-ნაკლები არ გააწერონ, ან ვისაც რა არ ეკუთვნის, იმას ის არ შეაწერონ. ვენახებისა და მინდვრების მეველებად რიგიან კაცებს ამოვირჩევდეთ, რომ ალალ-მართლად მოუარონ. სოფლებში ცეცხლის გასაქრობი შხაპუნა ვიქონიოთ, წლით კაცი დავიჭიროთ, ის ცეცხლის-საქრობი და მსუბუქ თვლებზე დადებული წყლით სავსე ბოჭკა იმას ჩავაბაროთ, რომ საცა კი ცეცხლი გაჩნდეს, ფიცხლავ იქ დაიბადოს, და როცა გზირები შინ არ არიან, იმათ ბადლად იმან უყარაულოს სოფელს დღე-ღამე, რომ ურიგობა არსად რა მოჰხდეს. იმის ხუთექვს თუმანს ჯამაგირს ნუ შევუშინდებით, ეს კაცი სხვაფრივაც გამოადგება სოფელს და დამავსებელის ცეცხლისაგან ხომ დაფარულები ვიქნებით.

ვაჭრებს გირვანქები გამოუწონოთ, სასწორიც გაუსინჯოთ, საწყაოებიც გამოუწყოთ, მამასახლისის ბეჭედი დაუკრათ და პირობა დაუდვათ, რო თუ ისინი ვისმე რაშიმე მოატყუებენ, დუქანს დაუკეტავთ. მოხელეებსაც თვალ-ყური ვადევნებინოთ, რომ დუქნებში წამხდარი სასმელ-საჭმელი არავინ გაყიდოს, ან წყვაში, ზომაში და წონაში არავინ მოატყუონ, ან ულმერთო ფასი არავის წაჰგლიჯონ და ან სხვა რიგი ურიგობა არ ჩაიდინონ. მოხელეებსავე მოვახსენოთ, რომ იმათის ბძანებით ყველას ეზო-ყურე სუფთად იყოს შენახული, რომ უწმინდურობიდამ ავად-მყოფობა არა გაჩნდეს-რა. სყიდვა-გასყიდვაში სიფხიზლე და პირი გვქონდეს, რო ჰალისმგლებმა არაში გაგვატყუონ. საჩივლელად საქმეს ნურავინ გავიხდით და ნაცარ-ქექია, ქუცა „ადვაკანტებს“ ნუ გაველარსლინებით. გზირები და ჩაფარი გავაფთხილოთ, რომ მოხელეებისათვის და ან სხვისთვინ ერთის ნემსის დანაფასის ოდენაც არავის რა სთხოვონ უკანონოდა: ან ღვინო, ან პური, ან ქათამი, ან თივა, ან საქალმე და ან სხვა, თორემ ნაჩალიკს მოვახსენებთ და საქმე ფინთად მოუვათ.

დღეს სოფლებში, თუ ყველგან არა, ბევრგან მაინც გამოჩნდება იგეთი მიკიტანი, რო სოფელს ამ პირობით შეეკვრება: მარტო ჩემგან იყაჭროს მთელმა შეკრულმა სოფელმა და მეც ყველას წინა-დღითვე იაფ-ფასად შეკრულობაზე გავყიდი და ჰამ, პირ-იქით, მუდამ-წელს ფულსაც მივსცემ სოფელსო. ეს სოფლისათვისაც ხეირია და მიკიტნისათვისაც, მაგრამ ჩვენ ყველაში უკან დარჩომილები ვართ. ამას იქით მაინც გამოვიფხიტოთ ყურები, თუ ჩვენის თავისათვის კარგი გვინდა.

ეჭვიანი კაცები დავარიგოთ, რო მოიშალონ ხელ-მრუდობა და რიგიანად მოიქცნენ, ღმერთი უხვია, მინდორი დიდია, გაისარჯნენ და ტკბილი ლუკმა ჭამონ, თუ არა და, ქვეყანაა და სამართალი, ციმბირს ვუჩვენებთ. მკითხავებთან ნურავის გავაწაწანებთ და მკითხავებსაც ვურჩიოთ, ხელი აიღონ თავიანთ ეშმაკურ ხელობაზე, თორემ მთავრობის ყურში ჩავაგდებთ და მატყუარების ბინა ციმბირია. მატყუარა მაწანწალა აქიმებს კარზე ნურავინ გაიტარებთ, თუ ნაჩალიკის მოწმობა არ ექნება: დიახ, ამ კაცსა თუ დედა-კაცს შაუძლიან აქიმობაო: თორემ ფულებსაც გამოგვცინცლავენ და ავად-მყოფებსაც უდროოდ მიწას მიგვიბარებენ. ვინვე ყბა-ღიამ რო დაიყვიროს: მავანი ციმბირს გადავასახლოთო, ჩვენ მაშინვე ცხვრებივით ნუ გადავყვებით. იქნება ერთსა და ორს რა მტრობა აქვს ვისთანმე და იმისათვის ჩვენ რათ უნდა ჩავდგნეთ ალალ-მართლის ცოდვაში. ჯერ საქმეს კარგა საძირკვლიანად გამოვიძიებდეთ და თუ მართლა ღირსია ვინმე ციმბირისა, მაშინ შეუდგენდეთ „პრიგოვრს“. ოინბაზ კაცებს ქანჩიერით მოვუჭიროთ, რო ვლარავის აშფოთებდნენ და აქეზებდნენ თავიანთ სარფისათვის.

საწყალი, მარტო-ხელა კაცი რომ ერთხელ ბეგარაზე დააკლდეს—ნუ დავარბევთ. ნარჩევ ფულებს სულ მუცელს კი ნუ ჩავაყრით ხოლმე, ორწილს სოფლის საკეთილო საქმისთვის გადავდებდეთ. მოჯამაგირეებს მამაშვილურად მოექცეთ, რომ იმათაც ერთგულის მორჩილებით გვასიამოვნონ. ზამთარში მუშა-ხალხს სამუშაოს ნუ გამოულევთ, რომ ისინიც იოლას წაიყვანონ და მამულებსაც ევაშენოთ. ვინც „პროტუჟებს“ უდიერად ექცევა—გადავახდევინოთ, რო საკულაოდ სხვებიც გაფთხილდნენ. უნამუსო, კაცი თუ დედა-კაცი, საქვეყნოდ შევარცხვინოთ და კარზე ნუღარავინ გაუტარებთ, რომ ის გასაბედი სხვებმა აღარ გაბედონ.

მუშა-ხალხი და ხელოსნები გვიყვარდნენ, რომ უფრო რიგიანად საქმე გაგვიკეთონ. გაჭირვებულნი და შრომის მოყვარის ხელის გამართვა ვიცოდეთ. ქვრივ-ობლების ცოდვა-მადლი გვქონდეს და წყალობის თვალით მივხედეთ, რომ ღმერთმაც ჩვენ მოგვიხედოს. ლხინშიაც და ჭირშიაც ერთმანეთის ქომაგნი ვიყვნეთ, რომ ჩვენი ერთობა ხარობდეს და დღეგრძელობდეს. ყველა საზოგადო კეთილ საქმეს მხარი მივცეთ, რო კეთილმა ფუტკარივით იმათგან და დუნიის მორვე სიცოცხლის მზე დაგვადგეს. ყოველივე ავის საქმისაგან მორიდებულნი ვიყვე-

ბიზში, ამის გამო ხალხი აღელდა; გამოუცხადეს იქ მყოფს გამომძიებელს, რომ რა საქციელია ესა; ესთქვათ, ის უბედურის დღისა, ბ-ნი გარსევანიშვილი, დამნაშავე იყოვო, მაინცა და მაინც კაცი ქათამი ხომ არ არის, რად მიუციათ ნება, რომ ხელ-სისხლიანი „კრუჟკის“ შესავალში სდგას და ლაზღანდარაობსო. გამომძიებელმა ფიცხლავ განკარგულება მოახდინა, რომ წაეყვანათ. დამნაშავე დაიჰირესო, ამბობდნენ დღესა, მაგრამ...

მნახველი

* * *

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ლაპარაკი არ უნდა, რომ ბულანჟემ დღეს მაგრად გაიდგა ფეხი, დიდი სახელი მოიპოვა, პირველი კაცი გახდა საფრანგეთში. რით დაიმსახურა ასეთი სახელი, სიყვარული და ნდობა?

აი ფრანგულ გაზეთ „Globe“-ს კორესპონდენტისთვის რა უთქვამს ერთ აფიცერს ამის შესახებ:

> ვინც რა უნდა თქვას და ბულანჟე კი დიდებული, სახელოვანი კაცია. მართალია ომში ჯერ თავი არ უჩენია, იქნება ბევრი სხვა გენერლები, როგორც მხედარნი, ბულანჟეზე დაბლა არ იდგნენ, მაგრამ საქმე ამაში არ არის.

მაშ რაშია? ისეთი რა ღირსება, რა თილისმა აქვს ბულანჟეს, რომ მთელის საფრანგეთის გული მოინადირა და ყველას თავი შეაყვარა? აი ამაზე რა უთქვამს კორესპონდენტისათვის იმავე აფიცერს:

> ბულანჟეს წყალობით, დღეს საფრანგეთის ჯარებს თავიანთი ღირსება, თავიანთის თავის პატივი ესმით, ბულანჟემდინ ყველა აფიცერს თითქოს ჰრცხვენოდა, რომ აფიცერი გარო, აფიცრის ტანისამოსი სათაკილოდ მიაჩნდა. დღეს აფიცერს და აფიცრის ტანისამოსს დიდს პატივსა სცემენ. ეს სულ ბულანჟეს უნარს უნდა მიეწეროს. აგრეთვე თვით ჯარებშიაც დიდი ცვლილება მოახდინა. ბულანჟე თამამად შეუდგა ამ საქმეს. ბევრი ბებერი გენერალი, რომელთაც არც ნიჭი ჰქონდათ და არც ღვაწლი მოუძღოდათ და დიდი ადგილები კი ეჭირათ, სამსახურიდგან დაითხოვა და ახალ-გაზდა, უფრო ნიჭიერს აფიცრებს გაუხსნა გზა. ამიტომაც ახალ-გაზდა აფიცრებს ასე ძრიელ უყვართ ბულანჟე; და არა მარტო აფიცრებს, მთელის საფრანგეთის ერი იმის თაყვანის-მცემელია. არც სამინისტრო, არც დეპუტატები, არც თვით საფრანგეთის პრეზიდენტი გრევი ერთს დღესაც აღარ დარჩებოდნენ თავ-თავიანთ ალაგას, რომ ბულანჟეს გადაყენება მოინდომონო. თვით გაზეთებიც იძულებულნი არიან ხმა გაკმინდონ ბულანჟეზე. ზოგიერთმა გაბედა ბულანჟეზე ცუდის თქმა, მაგრამ როცა ნახეს, რომ მკითხველები აკლდებათ, ისევ გაჩუმება იკადრეს.

ასეთია გენერალი ბულანჟე, ასეთი სახელი და ნდობა აქვს მოპოებული!

რა ჰსურს ბულანჟეს? უნდა ომი თუ არა? ამაზედ იგივე აფიცერი აი რას გვიპასუხებს:

> უნდა კიდეც და არც უნდა. დღეს სწორედ რომ არ უნდა, თუ მერე, ცოტა გვიან მოხდება ომი, ამისი კი ძრიელ მონატრულია. ომის საქმე სრულებით ახალ, ესრედ წოდებულ „მაღაზინის“ თოფებზეა დამოკიდებული. ეხლა სცდიან ამ თოფებს, და თუ მართლა ისეთი გამოდგა, როგორც იმედი აქვთ, მაშინ ბულანჟე აღარ დაფიქრდება და ომს დაიწყებსო.

მართლაც და ეს თოფი საკვირველი რამ თოფი უნდა იყოს. თუმცა აფიცერს დაწვრილებით არ უამბნია კორესპონდენტისთვის ამ თოფის ამბავი, რადგან ეს დიდ საიდუმლოდ ინახება, მაგრამ ზოგიერთი საყურადღებო ცნობები-კი უთქვამს ამ თოფის შესახებ. ამ ახალ თოფს სხვა თოფებთან შედარებით აი რა ღირსება და უპირატესობა აქვს თურმე, როგორც აფიცერს ულაპარაკნია:

> ამ თოფს თოფის წამალი არ უნდა; ამის მაგიერ ხმარობენ ერთ გვარ საფეთქებელ ნივთიერებას. ამ ნივთიერების წყალობით თოფი უფრო შორსა სცემს და მიზანშიაც კარგად მიდის ტყვია. ახალი თოფი თითქმის ერთის ვერსტის სიშორეზე სცემს. გარდა ამისა იმ საფეთქ ნივთიერებას, რომლითაც ახალი თოფი იტენება, ბოლი სრულიად არა აქვს. ეს დიდი ღირსებაა, რადგან ბოლი თვალებს არ აულესავს ჯარის-კაცთა, მტერი ყოველთვის თვალში ეყოლებათ და მიზანში ადვილად ამოიღებენ.

ასე ომის საქმე, ევროპის მშვიდობიანობა ამ „მაღაზინის“ თოფზე ყოფილა დამყარებული. ერთის სიტყვით, მაინც-და-მაინც თოფი ყოფილა ევროპის სვე-ბედის გარდამწყვეტელი!

⁂

ერთი ვიღაც აფიცერი მჭევრ-მეტყველობს და საქვეყნოდ ქადაგებს, რომ „დუელის“ მოსპობა უთუოდ შეუძლებელიაო, კაცს თავის სახელის პატივის დაცვა შეურაცხყოფისაგან მხოლოდ ხმლით ან დამბაჩით შეუძლიანო. მჭევრ-მეტყველი მხედარი ისე გაუტაცნია სიტყვას, რომ, როგორც გვარწმუნებს გაზეთი „Новое Время“, ზოგიერთი საიდუმლოც გამოუაშკარავებია.

> როდესაც აფიცერი ქალს ეარშიყება, ოჯახს ნამუსსა ჰხდის, ქალს სახელს უტეხავს, საიდუმლოდ როდი ინახავს, ამ ამბავს მთელ თავის „პოლკს“ ატყობინებს ასე, რომ აფიცრის საიდუმლო მთელის „პოლკის“ საიდუმლოაო.

დიდი ვაჟ-კაცობაა! საქებური საქმეა!.. ქალებო, სახეში იქონიეთ ეს ამბავი და გაფრთხილდით!..

უცხოეთი

ბოლგარია. ოსმალეთი ბოლგარიის საზღვარს ახლო სიმაგრეებს აგებს და კრუპპის ზარბაზნებს აწყობს ამ სიმაგრეებზედაო.

— ცანკოვის დასის მომხრენი და კარაველოვის დასის მომხრენი მორიგებულან ერთმანერთში. ამათი სურვილი ის არის, რომ ახალს ბოლგარიის სამინისტროში ყველა დასის წარმომადგენელთ მიიღონ მონაწილეობა; რუსეთის გენერლის ბოლგარიის სამხედრო მინისტრად დანიშვნაზედ-კი ორივე დასის მომხრეთ წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ.

— სტამბოლში დაუპატიმრებიათ ბოლგარიის ჯარის კაპიტანი ენაკიევი. ამბობენ, რომ ეს ენაკიევი სოფიის სარეგენტო მთავრობას გაუგზავნია ბოლგარიაში ცანკოვის მოსაკლავადაო. როდესაც კაპიტანი ენაკიევი გაუჩხრეკიათ, იარაღი და სხვა-და-სხვა წერილები აღმოუჩენიათ. ამ წერილებში ისეთი ამბებია მოთხრობილი, რომელიც ვულკოვიჩსა, სამხედრო მინისტრს ნიკოლაევსა და კაპიტანს საკვოვის სახელს ჩირქსა სცხებსო.

— ოსმალეთისათვის შეუტყობინებიათ სალონიკიდგან, რომ მაკედონიაში ამბოხებასა და აჯანყების ატესას აპირობენ ბოლგარიის გამოსარჩლებიო. ბევრი ბოლგარიელი დაუპატიმრებიათ მაკედონიაში და ამას გარდა შიშიანობის წესნი გამოუცხადებიათ. ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს, უკეთივე სასტიკი ღონისძიება იხმაროს, რომ ამბოხება და არეულობა არ ასტყდეს მაკედონიაშიო.

— გაზ. «Politische Correspondenz»-ს დეპეშით აუწყებენ სოფიიდგან, რომ ოსმალეთის მთავრობამ აღუკრძალა ადრიანოპოლსა და მუსტაფა-ფაშას დასახლება იმ ბოლგარიელთ აფიცერთ, რომელნიც ბოლგარიიდგან იხიზნებიან და ოსმალეთში გადადიან საცხოვრებლადაო.

— გაზ. „Politische Correspondenz“-ი ამბობს, რომ აქამდე კიდევ იმედი იყო ბოლგარიის გამწვავებულის საქმის მშვიდობიანად გარდაწყვეტისა და დაბოლოვებისა, მაგრამ ეხლა ამის იმედიც დაეკარგათ ყველასაო.

— ამავე საგანზედ ავსტრიის გაზეთები აი რას ამბობენ: თუმცა გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტაში მე არ ჩავერევიო, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, მეგალითებრ, რომ გერმანიას ურჩევია ოსმალეთისათვის: ერთს რომელსამე სახელმწიფოს სიტყვას ნუ აჰყვები, ყველა დიდთა სახელმწიფოთა დაეკითხე ბოლგარიის საქმის გამო და ისე გადაწყვიტე ეგ გამწვავებული საქმეო.

გერმანია. ელზას-ლოტარინგიაში გერმანიის მთავრობას ამ ჟამად 80 ბატალიონი ქვეითი და 60 ესკადრონი ცხენოსანი ჯარი ჰყავს დაბანაკებული.

— რეიხსტაგის დეპუტატს ბ-ნს ციმერნის ამ დღეებში სიტყვა წარმოუთქვამს თავის ამომრჩეველთა წინაშე და აი სხვათა შორის რა უთქვამს: „ამ ერთის კვირის წინად მე ლაპარაკი მქონდა თვით ბისმარკთან და ვკითხე, რა აზრისა ხართ-მეთქი მომავალის ომის გამო, აუცილებელია გერმანიისა და საფრანგეთის შორის ომი, თუ არა-მეთქი და აი რა მიპასუხა: რა აზრისაც თქვენა ხართ, მეც იმ აზრისა ვარო; რაც თქვენა გგონიათ, მეც ისა მგონია; ჯერ-ჯერობით საფრანგეთისა და გერმანიის შორის მშვიდობიანობა სუფევს, მაგრამ აი გაიხედეთ საფრანგეთისაკენ, უყურეთ, როგორ ემზადება და ჩვენს საზღვრებს ახლოს ჯარის სადგომებს აკეთებს, მოიგონეთ ისიც, რომ [illegible] წადია, საფრანგეთი სულ იმას გაიძახის, შური უნდა ვიძიოთო და ადვილად მიხვდებით, რას უნდა მოველოდდეთ საფრანგეთისაგან და ომი აუცილებელია, თუ არაო.“

— მეციდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Matin“-ს: ელზას-ლოტარინგიაში გერმანიის მთავრობას რამდენიმე ათასი კაცი ჰყავს ზურგის ჯარად. ამას წინად მთავრობამ ამ ჯარის-კაცთ ბრძანება გასცა, რომ ჯარში დაბრუნდით და იმსახურეთო, მაგრამ ბევრნი არ გამოცხადდნენ თავიანთის უფროსების წინაშე. ელზას-ლოტარინგიაში ხმაა გავრცელებული, რომ გერმანიისა და საფრანგეთის შორის ომი აუცილებელიაო და ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ბევრს არ მოისურვებს ჯარშივე დაბრუნება, რადგან საფრანგეთის ბრძოლის წინააღმდეგნი არიანო.

— გერმანიის ჯარიდგან ბევრნი ელზას-ლოტარინგელნი გაპარულან და გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლა არა გვსურსო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ივერიის“ მე-26 ნომერში დაბეჭდილი იყო საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი მ. ჯანაშვილისა. იმ წერილში ამოვიკითხე სხვათა-შორის შემდეგი შეცდომა: „ესევე გუჯარი ჩაწერილი ყოფილა მღვდლის დავით ინაშვილის მიერ“... და სხვ.

ზემოხსენებული მღვდელი, პაპაჩემი, იწოდებოდე ინანაშვილად. ინაშვილებსა და ჩვენს შორის არავითარი ნათესაობა არცა ყოფილა და არც არის. როგორც ინაშვილების გვარი, აგრეთვე ჩვენიც ჩვენმა მთავრობამ თავისებურად გარდააკეთა: პირველნი რუსულად იწოდებიან Инаевы და ჩვენ Инановы.

განსვენებულ პაპაჩემის მიერ გადაწერილ ვახუშტის საქართველოს ისტორიის წიგნის ბოლოში შემდეგი წარწერაა.

„სრულ იქმნა ბაქოში წელსა 1816-სა თთვესა ივლისსა 26-სა დიდება ღმერთსა, ყოველთა სრულ-მყოფელსა.

ხელითა მღვდლის დავით ინანაშვილისათა.

მკითხველთაგან შენდობის მოქენისათა.“

ვლადიმირ ინანაშვილი

ნეთ, კვირა-უქმე დღეს წირვა-ლოცვაზე ვიაროთ, მარხვა წმინდად შევინახოთ და მუდამ წელს ვეზიარნეთ, რომ უფალმა ღმერთმა მოგვცეს კეთილი ცხოვრება. ერთმანეთის სიყვარული, პატივის-ცემა და გაგონება გვქონდეს, რო გამჩენმა ღმერთმაც შეგვიყვაროს და მხიარულად გვაცხოვროს, აი, ჩემო კეთილო ძმებო, როცა შევიყრებოდეთ, ამ გვარ საქმეებზე უნდა ჩამოვაგდებდეთ სიტყვას და კეთილ თქმულებას კეთილის საქმითაც უნდა გამოვაბამდეთ თავს. კეთილის სიტყვის თავის გამომბმაც კეთილმა ცოდნამ იცის.

სიცოცხლე იმისთვის მოუცია ღმერთს, რომ იმით ჩვენც გავიხაროთ და სხვებიც ვასიამოვნოთ. ვინც თავის სიცოცხლეს ცუდ-კაცობაში და ცუდაობაში გაატარებს, ის ვერც ამ სოფლად და ვერც იმ სოფლად გაიხარებს. კაცი ის არის და ქუდიც იმასა ჰხურავს, ვისაც თავისის ალალის ოფლით თავიც გამოჰყავს და ლატაკებიც იოლად მიჰყავს. ვინც მარტო თავის თავზე და ჯიბეზე ზრუნავს, ის ეშმაკის კერძია. ღმერთი გვიბძანებს, რომ ერთმანეთთან პირ-ნათლად და შაქრად ვიყავითო. ღვთის ურჩი და ადამიანის ურგო კარგს ვერ მოეწევა; კეთილის მქნელს კი ღმერთიცა და კაციც შეიყვარებს.

თორემ ამას რა დიდი გამოცნობა უნდა: როცა ავ-საქმეს ჩავდივართ, მაშინ ღმერთიც თვალს გვარიდებს და ჩვენის ნამუსისაგანაც ვიწვებით.. როცა ყველაში და ყველასთან გულმართალი და კეთილი ვართ, მაშინ-კი ღმერთიც კეთილის თვალით გვიყურებს და ნამუსიც გვახარებს. „ნუ იქ ავსა და ნურც ავისა გეშინიანო“. მაშ ვთესოთ კეთილი და სიყვარული, და არ მოგვაკლდება პატივი და სიხარული... „ბედნიერება კარგის-მქნელის ჯილდოთ არის გაჩენილი, მაგრამ, რადგანაც ყველა არა სჩადის კარგს, იმიტომაც ყველანი არ არიან ბედნიერები“. [1]

პაწაწინა ფუტკრის მიხედულობით მაინც ვისულღმერთოთ და ვისწავლოთ: ფუტკარი ბზე-თივას არავისა გვთხოვს, მაგრამ ჩვენ თაფლს გვიკეთებს და ეკკლესიას წმინდა-სანთელს. ან კიდევ ერთი ბეწვა აბრეშუმის ჭია რას ჩადის: რო იტყვის, ეხლა მეც შემიძლიან ქვეყნისათვის კეთილიო, თავის სიკვდილის დღემდინ აბრეშუმს გვიკეთებს და ბოლოს ჩვენის გულისთვის მდუღარეშიაც იხარშება.

დიახ, ღმერთს ეგრე დაუმწყემსებია: დიდ-კაცებიდამ მოყოლებული უკანასკნელამდის—ყველანი ერთმანეთს უნდა ვემსახუროთ, რომ კეთილი ლუკმა არ მოგვაკლოს უფალმა. თორემ ყველანი რომ ან დიდი-კაცები ვიყვნეთ და ან მათხოვრები, მაშინ ჩვენის საცოდაობით ქვაც დაიწვებოდა. მაგრამ ეს კი სულ სხვაა, როცა: მიწის მუშების შრომა ქვეყანას ასმევ-აჭმევს, წესი და რიგი ავს გვაშორებს და კეთილს გვიახლოვებს სამღთო-წერილის კაცნი ღვთის ბძანებას გვიკითხავენ, რომ ცოდვაში არ ჩავცვივდეთ, „ოსტატები“ შვილებს გვიწურთნიან, სწავლულები ძეძვ-ნარს ჰკაფავენ და ახალ გზას გვიქნიან, რო ჭყანტოპში აღარავინ დაეფლას, ხელოსნები ათას ნაირ სათვალ-ჩინო რასმე გვიკეთებენ, ჯარის-კაცნი მტრისაგან გვიფარავენ, მოსამართლეები სამართალს გვაძლევენ... და გლახები ევედრებიან: ღმერთო, ქვეყანა აძლიერე, რომ უქონლებმაც მჭადის ლუკმა ვიშოვნოთო. დიახ, ყველანი ერთმანეთს ვემსახურებით, იმისათვის რომ უერთმანეთოდ ვერ გამოვდგებით და ვერ ვიცხოვრებთ, თუ ერთმანეთს თავ-თავის ხელობითა და უნარით არ ვასიამოვნებთ. აი ამისათვის უნდა კიდეც გვიყვარდეს და მიგვაჩნდეს ერთმანეთი, რომ «ადამიანი ადამიანის წამალია».

ადამიანის ყოფა-ცხოვრებას ერთ-ერთმანეთის მიხედულობა სწურთნის. როცა ქვეყნდება: მავანმა კაცმა ესა-და ეს დიდი მადლიანი საქმე მოიქმედაო, ქვეყანას უამება ხოლმე და ბევრიც ნატრულობს: ნეტავი მეც შემეძლოს იგეთი კაი კაცობაო. და როცა ამბობენ: ამა-და-ამ კაცმა ესა-და-ეს ცუდ-კაცობა ჩაიდინაო, ის კი სწყინს ყველა მართებულ ადამიანს და სძულს ავის-მქნელი. მაგრამ სიავკაცის გულები კი უფრო იგეშებიან და ქეზდებიან გაგონილის ავ-კაცობით.

რათ გვიყვარს ია და ვარდი? იქნება იმისთვის, რომ ია სოსანია და ვარდი—წითელი? არა, სოსანის ყვავილებით ვირ-ბალახაც მოირთვება ხოლმე პრანჭია ქალივით, და ყაყაჩო ხომ ვარდზედაც წითელია, მაგრამ ჩვენ იმათ ზედაც არ ვუყურებთ. რათა? იმისთვის და მისთვის, რომ იმათ არ შეუძლიანთ, ისე გულ-სალხენად გვასიამოვნონ, როგორც ია და ვარდი დაგვატკბობენ ხოლმე თავიანთის კეთილის სულით. მაგრამ აბა ჩაურიეთ ვირ-ბალახა ია-ვარდებში, დააცალეთ კარგა ხანი და ნახეთ მერე იმ ვირ-ბალახასაც როგორი ია-ვარდის სული აედინება. ავ-ადამიანსაც კაი ადამიანებში ყოფნა და მადლიანი დარიგება გააკარგებს. მართალია, ავი ადამიანი არ არის საყვარელი, მაგრამ იმისათვის კი უნდა გვიყვარდეს, რომ უცოდველი არავინა ყოფილა და, თუ პატრონი ეყოლება, ისიც მოიქცევა.

დ. მაჩხანელი

(დასასრული შემდეგ)

---

[1] ა. ბენი

გასართობი

როგორ ექცევიან ამერიკელები ღორებს. ამერიკელი მეძეხვე დროს მუქთად არ დაჰკარგავს. დრო ფულიაო, ამბობენ ამერიკელები და ამიტომაც ყოველს წამს უფრთხილდებიან, საქმეში იყენებენ. აი, მაგალითად, ღორს რომ ჰკლავენ, მაშინაც კი ცდილობენ, რომ ბევრი დრო არ დაეკარგოთ, შეაგდებენ ღორს პატარა ოთახში, სადაც ფიცრულის უკან ცული ისეა მოწყობილი, რომ რამწამს ღორი მივა ამ პატარა ფიცართან და დინგს დაატაკებს, მაშინათვე კისერში ცული დაჰკრავს და თავს მოსჭრის. იმავე წუთას იატაკი მოირღვევა ხოლმე და დაკლული ღორი მდუღარით სავსე ქვაბში ვარდება. ხუთის წამის შემდეგ ორი დიდი ჩანგალი ამოათრევს თურმე გათუთქულ ღორს და ისევ უკან დასდებს გძელ ტილოს სუფრაზე, რომელიც ქვაბიდამ საყინულემდე არის გაჭიმული. ამ გაჭიმულ ტილოზე ცურვით მიდის საყინულისაკენ და მინამ საყინულეში მივა, რკინის კბილებიან სავარცხლით ჯაგარი ეცლება, და შუაზე იჭრება. რვა წამის განმავლობაში ნაწლევებს იღებენ, სწმენდენ, ცივ წყალში ჰრეცხვენ და საყინულეში სდებენ შესანახად. მთელი ეს საქმე სულ 35 წამში, ანუ ნახევარ წუთში კეთდება!..

**

მარხული ქალი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ბოლოს დროს ევროპაში რამდენიმე კაცი გამოჩნდა, რომელნიც 20-ისა და 40-ის დღით არაფერსა სჭამენ და მარხულობენ. ამ მარხულობაზედ აი ერთი უფრო გასაოცარი მაგალითი. იტალიაში სცხოვრებს თურმე ერთი 45 წლის დედაკაცი, რომელიც ეს 27 წელიწადია არც ლოგინიდამ ამდგარა და არც უჭამნია-რამე. 18 წლიდამ 20-დე, როცა ყმაწვილი ქალი იყო, სჭამდა ხოლმე ხან-და-ხან ერთ ნაჭერს პურს, მაგრამ 20 წლიდგან კი საჭმლის გემოც არ უნახავს და მარტო დღეში 4 სტაქან წყალს-კი სვამსო. თუმცა ასე მშიერია ეს ქალი, მაგრამ დაუძლურება და ტანში მოშლა არაფერში ეტყობა და პირიქით ძალიან მხიარულადაც არისო. ეს კი არის, რომ თთვეში ერთხელ ერთის ან ორის დღით სალათას ძილი ემართება ხოლმეო. ერთი პროფესორი ხშირად დადის ამ ქალთან და უნდა გამოიკვლიოს, თუ რა აგებულებისა უნდა იყოს ეს ქალიო.

დეპეშა

11 თებერვალი

ბერლინი. დღემდე ვიცით, რა შედეგი მოჰყვა არჩევანსა მხოლოდ 200 ოლქში: საბოლოოდ არჩეულ-იქმნა: 29 კონსერვატორი, 14 წევრი საიმპერიო დასისა, 25 შუაგულდასისა, 67 ნაციონალ-ლიბერალი, 4 თავისუფალი მოაზრე, 6 სოციალისტი, 15 ელზასელი, რომელნიც წინააღმდეგნი არიან მთავრობისა და 4 პოლონელი. 36 ოლქაში ხელ-მეორედ უნდა იყოს არჩევანი. დასთა წარმომადგენელთაგანი იქმნენ არჩეულნი რიხტერი, ვინდჰორსტი, მიქველი, ბენდა, შტეკერი, ბაბერგერ, ვედელი და მალცჰოვი. რაც აქამდე შედეგი მოჰყვა არჩევანსა, იმის გამო „National Zeitung“-ი ამბობს, რომ მთავრობის დასი გაიმარჯვებსო. ჯერ-კი მხოლოდ ეს ვიცით, რომ 26 ალაგი წაერთვა 14 იანვრის უმეტესობას. ამ 26 ალაგიდგან ნაციონალ-ლიბერალების დასმა შეიძინა 23 ალაგი; ამასთან თავისუფალ-მოაზრეთ დაჰკარგეს 12 ალაგი, შუა-გულმა 3, სოციალისტებმა 5, დემოკრატებმა 3; თავისუფალ მოაზრეთ დაჰკარგეს ჯერჯერობით 16 ალაგი. ეს დასი სწორედ რომ საშინლად იძლია.

პეტერბურგი, 11 თებერვალს. ცალკე ნომრობით გასყიდვა „Русск. Вѣд.“-ებისა კვლავ ნება-დართულ იქმნა.

„Новое Время“ გვაუწყებს, რომ პროექტი ადგილობრივის რეფორმისა თებერვლის დამლევს წარდგენილ იქნება სახელმწიფო საბჭოში.

ბერლინი. შუაღამემდე საბოლოოდ იქმნენ არჩეულნი. 140 მთავრობის კანდიდატი და 73 მოწინააღმდეგე. 44 ოლქაში ხელმეორე არჩევანებია დანიშნული.

მასსოვა. რას-ალულა იტალიელებს ზავ'სა და მეგობრობასა ჰპირდება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სიმაგრენი არ აღმართონ აბისინიის მიწა წყალზედაო.

პეტერბურგის ბირჟა, 10-ს თებერვალს

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9 5
ტამოჟნის კუპონები	— ›	— ›	176
5% პირველის შინაურის სესხმის მომგები ბილეთი	241	— ›	— ›
— მეორისა	$233^{3}/_{4}$	— ›	— ›
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა	— ›	— ›	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დიდმარხვა—16 თებერვალს, აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24, 25, პეტრე-პავლე'ს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

12 დღე ხუთშაბათი. მელეტ. არ. ხიეპისკ., წმ. შიო მღვიმელისა. კათოლ. ევლიალისა და პეტრესი. სომეხ. გარდანიან მხედართ-მთავართა, 1036 მოწამეთა სომეხთა. ქუთაისში დაარსდა გიმნაზია, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 5—45.

13 დღე პარასკევი. წმ, მარტიანესი კათოლ. იორდანესი და ეკატერინასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულმ. მე-3 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—41, ჩადის 5—46. მთვარე სამის დღისაა.

14 დღე შაბათი. ღირს. ავქსენტისა და კირილე ეპისკოპ. კათოლ. ვალენტინასი, ვანდასი და ვიტალისასი. სომეხ. ტაძრად მიყვანა იესო ქრისტესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13; ტფილისში მზე ამოდის 6—40, ჩადის 5—47.

15 დღე კვირა. დიდი ალების ლამე. წმ. მოციქ. ონისიმესი. კათოლ. ფაუსტინასი და ვოლდემარისა. სომეხ. დიდი ალების ლამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 5—48.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	$2^{1}/_{2}$ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	$3^{1}/_{2}$ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	5 ›
მე-2 ხარისხისა	4 ›
მე-3 —	$3^{1}/_{2}$ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი.	14 ›
ცხვრის ხორცი	9 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე „კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა. . .	9	9	9	11	ქობულეთი .	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები . .	9	25	9	29
ქსანი . . .	10	3	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი. . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	10	59	11	1	ნიგოითი . .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო. .	11	14	11	16
ქარელი . .	12	8	12	11	სამტრედია .	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი .	12	13	12	16
ხაშური . .	1	2	1	17	რიონი . . .	12	47	1	2
სურამი . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი . . .	2	—	2	3	ყვირილა . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	ბეჟათუბანი	4	18	4	37
ყვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი. . .	6	29	6	44	ხაშური . .	6	17	6	32
კოპიტნარი .	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია .	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	5	8	7	გორი . . .	7	44	7	54
ნიგოითი. .	8	27	8	30	გრაკალი . .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი. . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი . . .	9	7	9	9
ნატანები . .	9	52	9	55	მცხეთა. . .	9	28	9	34
ქობულეთი .	10	22	10	25	ავჭალა. . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	ტფილისი .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი. . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	ხაშური . .	3	11	3	27
მცხეთა. . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	გორი . . .	5	4	5	19
გრაკალი . .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი. . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთა . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	24	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тиф. Губерн. правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის **ნადვორნი სოვეტნიკის ქვრივს სუსანა ივანეს ასულს ილჩენკო-ხაბლოვსკისას** და რომელიც იმყოფება ტფილისის ქალაქის მეოთხე ნაწილში, არლოვსკის ქუჩაზე. ეს ქონება არის ცარიელი მიწა, სივრცით 230 ოთხ-კუთხი საჟენი, 2 ოთხ-კუთხი არშინი და $89\,^{3}/_{8}$ ოთხ-კუთხი ვერშოკი. ამ მიწაზედ სდგას ნახევრად დაქცეული ორ-სართულიანი სახლი, რომელიც შესდგება ორის ოთახისაგან. ამ სახლს აქვს პატარა ბაღი. ეს მამული დაფასებულია ორას ორმოცდა-თხუთმეტ თუმნადა და ექვს მანათად (2,556 მან.). ამ ფულით უნდა გადახდილ იქმნას ის ვალი, რომელიც დაედო ილჩენკო-ხაბლოვსკისას ტფილისის ქალაქის სამატის ფულისა (Спомогательный Капиталъ). დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (Присуттсвіе Губернскаго Правленія), სადაც შეეძლებათ განიხილონ დაწვრილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—2)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების ძალით, დანიშნა საჯაროდ გასყიდვისათვის თავის სამმართველოში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის **დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მეუღლეს ნინა პავლეს ასულს ბელსკისას** და რომელიც იმყოფება ტფილისის ქალაქის მეცხრე ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზედ. ეს უძრავი ქონება არის ერთ-სართულიანი სახლი ყოველის საჭირო შენობეებით და თავის ეზოთი. ამ სახლს თავის ეზოთი ეკუთვნის მიწა სივრცით $289\,^{1}/_{4}$ ოთხ-კუთხი საჟენი. ეს მამული დაფასებულია ოთხას-ოთხმოც თუმნათ (4,800 მან.). ეს მამული იყიდება იმ ვალის გადასახდელად, რომელიც დასდებია მამულის პატრონს, ბელსკისას, ტფილისის ქალაქის სამატის ფულისა (вспомогательный капиталъ гор. Тифлиса) და ყოფილის ამიერ-კავკასიის პრიკაზისა. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, სადაც შეეძლებათ განიხილონ დაწვრილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი, ამ გასყიდვის შესახები. (3—3

კერძო განცხადებანი

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—10)

Дов. ценз. Тиф. 11 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე